

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო,
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

ინდ. მეწარმე შოთა ურიადმოფელის

ს.კ. 210 010 069 25

ქ. თერჯოლა, ტ. სოფრომადის №1

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

განსახილველად წარმოგიდგენთ ჩემს მიერ იჯარით აღებული ავტოგასამართი სადგურის სკრინინგის ანგარიშს.

ანგარიში დამუშავებულია შ.პ.ს. “სამთავრო“-ს მიერ.

პატივისცემით,

ინდ. მეწარმე შოთა ურიადმოფელი

06.05.2021 წ.

ტ. 5 95 244 400

ი.მ. “შოთა ურიადმყოფელი”-ს
ავტოგასამართი სადგურის სკრინინგის
ანგარიში

ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №14

სკრინინგის ანგარიში

1. ი.მ. შოთა ურიადმოფელი, შ.პ.ს. “თერჯოლა ოილი“-სგან იჯარით აღებულ ტერიტორიაზე, ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქ. №14-ში, (ს.კ. 33.09.41.020), გეგმავს ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციას.

2. ძირითადი მონაცემები საწარმოს შესახებ

1	2	3
1.	ობიექტის დასახელება	ი.მ. შოთა ურიადმოფელ, ავტოგასამართი სადგური
2.2.	ობიექტის მისამართი: ფაქტიური დ ფურიდიული	ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №14. ქ. თერჯოლა, ტ. სოფრომადის №1
3.	სტიდენტიფიკაციო კოდი	21001006925
4.	GPS კოორდინატები ბ	X– 331750 Y– 4670260
5.	ობიექტის ხელმძღვანელი: გვარი, სახელი ტელეფონი ელ. ფოსტა	შოთა ურიადმოფელი 595 244 400 nero-baza@mail.ru
6.	შანიძელი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	160 მ
6.	ეკონომიკური საქმიანობის სახე	მომსახურება-თხევადი საწვავის რეალიზაცია
7.	გამომშვებული პროდუქციის სახეობა	-
8.	საპროექტო წარმადობა ქ	ბენზინი-1 000 000 ლ/წელ. დიზელის საწვავი - 1 000 000 ლ/წელ.
9.	ნედლეულის სახეობა და ხარჯი	-
10.	საწვავის სახეობა და ხარჯი (გარდა სტრანსპორტით საშუალებებში გამოყენებული)	-
11.	საშუალო დღეების რაოდენობა წელიწადში	365
12.	საშუალო საათების რაოდენობა დღეში ბ	24

3. საპროექტო ტერიტორია და ნაგებობები მეწარმის მიერ აღებულია იჯარით, შ.პ.ს. “თერჯოლა ოილისგან”, რომელსაც თავის მხრივ ავტოგასამართი სადგური შეძენილი აქვს ფ.პ. მალხაზ ჭუმბურიძისგან (პ.№. 21001003723) 2020 წლის ივნისში. ავტოგასამართი სადგური

დამონტაჟებულია გასული საუკუნის 90-იან წლებში, მ. ჭუმბურიძეს იგი შესყიდული აქვს 2007 წელს. არანაკლებ უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში იგი არ ფუნქციონირებდა.

4. ავტოგასამართ სადგურში საწვავის ახალი რეზერვუარების მონტაჟი არ მომხდარა. ჩატარდა 6 ერთეული არსებული რეზერვუარის შეკეთება, გამოცდა და ხელახალი ჩაწყობა სარკოფაგში. ორ არსებულ ჩამოსასხმელ სვეტს დაემატა მესამე ჩამოსასხმელი სვეტი.
5. ავტოგასამართი სადგური მდებარეობს მაგისტრალური ავტობანიდან ქ. თერჯოლაში მიმავალი საავტომობილო გზის მიმდებარედ, წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო მიწას, მიყვანილია ელ. ენერჯია, არსებობს ტექნოლოგიის შესაბამისი დანადგარები და ინფრასტრუქტურა. არ არის საჭირო დამატებით მიწის და სამშენებლო სამუშაოების ჩატარება. შესაბამისად ტერიტორიის შერჩევის ალტერნატიული ვარიანტები არ განიხილება.
6. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოდან დაშორებულია 160 მეტრით, სამსრეთის მიმართულებით. უახლოესი მსხვილი დასახლებული პუნქტის – ქ. თერჯოლის მოსახლეობა აღწევს 9000 კაცს. ახლოესი წყალსადინარი მდ. ჩხარი მიედინება სადგურიდან დასავლეთით 75 მეტრში.
7. საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებია:
 - ა) ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერების – ნახშირწყალბადების გამოყოფა დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან.
 - ბ) ხმაური და ვიბრაცია
 - დ) ნარჩენები.
 - ე) კუმულიაციური ზემოქმედება

ტექნოლოგიური პროცესის მოკლე აღწერა

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე დაგეგმილია თხევადი საწვავის ჩამოსასხმელი 3 სვეტის ფუნქციონირება, მათგან ერთს ექნება 2 ჩამოსასხმელი წერტილი (დიზელის საწვავისთვის), ხოლო 2 სვეტი აღჭურვილია 4 ჩამოსასხმელი წერტილით (თითოეული მათგანი), მათგან ერთი სვეტი გათვალისწინებულია ბენზინისთვის, მეორე დიზელის საწვავისთვის.

დიზელის საწვავის მისაღებად გათვალისწინებულია ერთი 50 მ3 ტევადობის, 2 ერთეული 25 მ3 და ერთი 16 მ3 ტევადობის ავზი. ხოლო ბენზინისთვის ერთი 25 მ3 და ერთი 10 მ3 ტევადობის ავზები. სულ 6 ერთეული ავზი. მოიჯარის მიერ ჩატარდა არსებული რეზერვუარების შეკეთება, ანტიკორიზიული იზოლაციის განახლება, გამოცდა და ხელახალი ჩაწყობა მიწის ქვეშ, მოქმედი სატანდარტებისა და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით. სხვა ახალი ნავთობსაცავების და მოწყობილობების მონტაჟი არ მომხდარა და არ იგეგმება. თხევადი საწვავი გასამართ სვეტებს მიეწოდება დახურული მილსადენით.

რაც შეეხება ავტოგასამართი სადგურის სიახლოვეს არსებული, ანალოგიური ტიპის ობიექტებთან ერთად გარემოზე შესაძლო კუმულიაციურ ზემოქმედებას, ასეთი საწარმოები საპროექტო სადგურის სიახლოვეს არ ფუნქციონირებენ. მათი დაშორება აღემატება 400 მეტრს და შესაბამისად შესაძლო კუმულიაციური ზემოქმედება არ განიხილება.

ატმოსფერულ ჰაერზე შესაძლო ზემოქმედების დადგენის მიზნით ჩატარდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გამოყოფილი მავნე ნივთიერებების ინვენტარიზაცია, აღირიცხა დაბინძურების 9 წყარო. კერძოდ:

- ავტოგასამართი სვეტი (გ-1);
- ავტოგასამართი სვეტი (გ-2);
- ავტოგასამართი სვეტი (გ-3);
- ბენზინის რეზერვუარი (გ-4);
- ბენზინის რეზერვუარი (გ-5);
- დიზელის საწვავის რეზერვუარი (გ-6);
- დიზელის საწვავის რეზერვუარი (გ-7);
- დიზელის საწვავის რეზერვუარი (გ-8) ;
- დიზელის საწვავის რეზერვუარი (გ-9).

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მანე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში.

1) მანე ნივთიერების გაფრქვევის ანგარიში (გაფრქვევის წყარო გ-1 – გ-9)

ატმოსფეროში გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა იანგარიშება [7] ფორმულით:

ა) ბენზინისათვის

$$M_1 = (B_1 \times Q_1) / 1\,000\,000 \text{ ტ/წელ}$$

სადაც:

B_1 - 1 ლიტრი ბენზინის რეალიზებისას გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობაა და ტოლია 1.4 გრამის:

Q_1 - რეალიზებული ბენზინის მოცულობა ლიტრებში და ჩვენს შემთხვევაში უდრის 1 000 000 ლ-ს. ზემოაღნიშნულ ფორმულაში შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით, გაფრქვევის წლიური რაოდენობა იქნება:

$$M_1 = (1.4 \times 1\,000\,000) / 1\,000\,000 = 1.4 \text{ ტ/წელ.}$$

ხოლო გაფრქვევის წამური ინტენსივობა შეადგენს:

$$G_1 = 1.4 \times 1\,000\,000 / 365 \times 24 \times 3600 = 0.045 \text{ გ/წმ}$$

ბ) დიზელის საწვავისთვის

$$M_2 = (B_2 \times Q_2) / 1\,000\,000$$

სადაც:

B_2 - 1 ლიტრი დიზელის საწვავის რეალიზებისას გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა და ტოლია 0.0025 გრამის.

Q_2 - რეალიზებული დიზელის საწვავის მოცულობაა და ჩვენს შემთხვევაში ტოლია 4 000 000 ლიტრის.

ატმოსფეროში გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა იქნება:

$$M_2 = (0.0025 \times 4\,000\,000) / 1\,000\,000 = 0.0025 \text{ ტ/წელ}$$

ხოლო გაფრქვევის წამური ინტენსივობა შეადგენს:

$$G_2 = 0.0025 \times 1\,000\,000 / 365 \times 24 \times 3600 = 0.00008 \text{ გ/წმ}$$

მიღებული შედეგების ანალიზი

ავტოგასამართ სადგურს წლიურად საპროექტოდ გათვალისწინებული აქვს 1 000 000 ლ ბენზინის და 1 000 000 ლ დიზელის საწვავის რეალიზაცია. სადგურის ფუნქციონირების შედეგად ატმოსფეროში გამოფრქვეული მავნე ნივთიერების (ნახშირწყალბადები) ჯამური რაოდენობა იქნება:

$$G_{\text{ნახ.წყ.}} = 1.4025 \text{ ტ/წელ}$$

წამური გაფექვები

$$M_{\text{ნახ.წყ.}} = 0.04508 \text{ გ/წმ.}$$

ხმაური და ულტრაბგერები

ხმაური წარმოადგენს სხვადასხვა სიხშირის და ინტენსივობის ბგერების მოუწესრიგებელ ერთობლიობას, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მავნე ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე. ხმაურის წყარო შეიძლება იყოს ნებისმიერი პროცესი, რომელსაც მყარ, თხევად ან აიროვან გარემოში შეუძლია გამოიწვიოს ბგერითი წნევა ან მექანიკური რხევები. ხმაურს გააჩნია გარკვეული სიხშირე ან სპექტრი (ათვლება ჰერცებში) ბგერითი წნევის ინტენსივობა, რომელიც იზომება დეციბელებში. ადამიანის სმენას შეუძლია გაარჩიოს ბგერის სიხშირე 16 -დან 20 000 ჰერცის ფარგლებში.

ხმაურის ინტენსივობა უმეტეს შემთხვევაში იზომება ლოგარითული სკალით, რომლის ყოველი საფეხური 10-ჯერ მეტია წინანდელზე. ხმაურის დონის ასეთ თანაფარდობას ეწოდება ბელი (ბ),

ხმაური ინტენსივობის მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად:

ა) პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ხმაური, რომლის ინტენსივობა არ აღემატება 80 დბ-ს. ასეთი ინტენსივობის ხმაური ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში არ არის.

ბ) მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ხმაური, რომლის ინტენსივობა ერთი დღელამის განმავლობაში იცვლება 80 დბ-დან 135 დბ-დე. ასეთი ხმაურის ზემოქმედება იწვევს ადამიანის სმენის დაქვეითებას და შრომისუნარიანობის დაწევას 10-30% -ით.

გ) ხმაური, რომლის ინტენსივობა მეტია 135 დბ-ზე, მიეკუთვნება მესამე ჯგუფს და ყველაზე სახიფათოა. 135 დბ-ზე მეტი ხმაურის სისტემატური ზემოქმედება (8-12 საათის განმავლობაში) იწვევს ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებას, შრომის ნაყოფიერების შემცირებას. ასეთ ხმაურს შეუძლია გამოიწვიოს ლეტალური შემთხვევებიც.

ჩვენს შემთხვევაში სადგური განეკუთვნება პირველ ჯგუფს და ხმაურის დონე არ არ აღემატება დასაშვებ ზღვარს, 35 დბ.

ულტრაბგერები

ულტრაბგერები ეწოდება დრეკად რხევებს და ტალღებს, რომელთა ბგერითი სიხშირის დიაპაზონი უფრო მეტია, ვიდრე ადამიანის სმენის ზედა ზღვარი. ულტრაბგერის ქვედა ზღვარი პირობითია, ვინაიდან სმენითი აღქმის უნარი იცვლება საკმაოდ დიდ დიაპაზონში.

საწარმოს პირობებში ულტრაბგერების წყარო შეიძლება იყოს კომპრესორი, ელ. ძრავი, სვადასხვა მოწყობილობები და ავტოსატრანსპორტო საშუალებები.

სადგურში ულტრაბგერების გამოყოფა არ აღემატება დასაშვებ ნორმებს.

საწარმოო დანიშნულების წყალი სადგურში არ გამოიყენება. სასმელ-საყოფაცხოვრები წყლით ობიექტი მომარაგდება ქალაქის წყალმომარაგების ქსელიდან.

სანიადგურე ჩამდინარე წყლების წარმოქმნა ხდება ატმოსფერული ნალექების (წვიმა, თოვლი) დროს. ისინი არსებული წყალშემკრები სისტემით, სალექარის (მექანიკური, აღჭურვილი ნავთობდამჭერით) გავლით გაედინება მიმდებარე ტერიტორიაზე, რელიეფის ზედაპირზე.

სამეურნეო – ფეკალური კანალიზაცია. "სამშენებლო ნორმებისა და წესების" 2.04.03-85", 3.9 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, როცა ჩამდინარე წყლების ხარჯი არ აღემატება დღე-ღამეში 1 მ³ -ს, დასაშვებია ამოსაწმენდი ორმოს მოწყობა.

ობიექტის მომსახურე პერსონალის რაოდენობა შეადგენს დღეში 4 კაცს. თხევადი ნარჩენების მოცულობა 1 კაცზე შეადგენს 7.3 მ³/წელ. ანუ 0.02 მ³/დღ. ამდენად ჩვენს შემთხვევაში თხევადი ნარჩენის საერთო მოცულობა შეადგენს 0.8 მ³/დღ.

შესაბამისად საწარმოში მოეწეობა ერთადგილიანი ამოსაწმენდი, ბეტონის იზოლირებული ავზი, რომლიდანაც გათვალისწინებულია თხევადი ნარჩენების პერიოდული გატანა საასენიზაციო ავტომანქანით.

ნარჩენები. ავტოგასამართ სადგურში ტექნოლოგიური სახიფათო ნარჩენები არ წარმოიქმნება. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე. ასევე არ წარმოშობა საწარმოო არასახიფათო ნარჩენები.

ავტოგასამართი მოედნის ტერიტორიაზე მოწყობილია შემკრები არხი, რომელსაც გააჩნია ნავთობდამჭერი და მიმღები ბეტონის ავზი. იგი საწვავის ავარიული დაღვრის შემთხვევაში უზრუნველყოფს დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეგროვებას.

გასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე ტექნოლოგიური სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა არ არის გათვალისწინებული. ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შემთხვევაში, წარმოქმნილი ნავთობპროდუქტების და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამის დროებით განსათავსებლად გათვალისწინებულია სპეციალური კონტეინერი, რომელიც განთავსდება ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. ხოლო სახიფათო ნარჩენების გატანა მოხდება უფლებამოსილი, შესაბამისი ნებართვის მქონე ფირმის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

ფლორა და ფაუნა. როგორც აღინიშნა საპროექტო ტერიტორია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა და მასზე ათეული წლებია განთავსებულია შენობა-ნაგებობანი. ტერიტორიაზე არ არის აღრიცხული მრავალწლიანი და ბალახოვანი მცენარეები; დაცული და ჭრააკრძალულ მცენარეთა სახეობები, ასევე ფლორისტული შემადგენლობის თვალსაზრისით ლანდშაფტის დირებული ელემენტები.

ფაუნა – ობიექტის ტერიტორიაზე ასევე არ აღრიცხულა ფაუნის წარმომადგენლები და მათი საბინადრო ადგილები. საწარმოს მდებარეობა და მიმდინარე

ტექნოლოგიური პროცესები შემდგომში ფაქტიურად გამორიცხავს აქ ფაუნის წარმომადგენელთა ბინადრობას.

ლანდშაფტზე ზემოქმედება – არ მოხდება, სადგური მდებარეობს ურბანულ გარემოში, ნაგებობები და შენობები აშენებული სამი ათეული წლის წინ და ერწყმის არსებულ განაშენიანებას.

დაცული ტერიტორიები – საწარმოს სიახლოვეს (500 მ) არ არის, ასევე არ მოხდება საქმიანობის შედაგად მათზე უარყოფითი ზემოქმედება.


ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლები – საწარმოს უშუალო სიახლოვეს (500 მ) არ არის, ასევე არ განიხილება მათ ზემოქმედების ალბათობა.

სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით სადგურის საქმიანობა შეიძლება შეფასდეს როგორც დადებითი. საწარმოში ადგილობრივი მოსახლეობიდან შესაძლებელია დასაქმდეს 3-4 ადამიანი.

საწარმოს ფუნქციონირება ხელს შეუწყობს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შევსებას და მომუშავეთა ეკონომიკური მდგომარეობის (ხელფასი) გაუმჯობესებას. ქალაქში მოძრავ ავტოტრანსპორტს უზრუნველყოფს თხევადი საწვავით.

აგტოგასამართი სადგურის მდებარეობის გეგმა

მ. 1 : 1500



შოთაძის ქ.

ავტოსამართი
სადგური


160 მეტრი
მოსახლეობა

111 M

Image © 2021 CNES / Airbus

Google Earth

ავტოგასამართი სადგურის გეგმა მ. 1:500



- 1. ჩამოსასხმელი სვეტი
- 2. ჩამოსასხმელ სვეტი
- 3. ჩამოსასხმელი სვეტი
- 4. ბენზინის რეზერვუარი

- 5. ბენზინის რეზერვუარი
- 6. დიზელის რეზერვუარი
- 7. დიზელის რეზერვუარი
- 8. დიზელის რეზერვუარი

- 9. დიზელის რეზერვუარი
- 10. ოფისი

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი “ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ”, 1999 წ.
2. საქართველოს კანონი წყლის შესახებ, 1999 წ.
3. საქართველოს კანონი "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი". თბილისი, 2077 წ.
4. სხვადასხვა დარგის საწარმოების ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობა-დანადგარებიდან ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა ხვედრითი გაფრქვევების ნორმატიული მაჩვენებლები, მესამე (გადამუშავებული) გამოცემა (11-იდან 21-მდე განყოფილება და დანართი), ხარკოვი, 1991 წელი (რუსულ ენაზე).
5. EMEP/CORINAIR ევროპაში ატმოსფერულ გაფრქვევათა ინვენტარიზაცია, ატმოსფერულ გაფრქვევათა ინვენტარიზაციის სახელმძღვანელო, 1997 წ.
6. საქართველო მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის დადგენილება №435, “დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე”
7. Оценка источников загрязнения атмосферы, воды и суши. Александр П. Экономопулос. Университет Демокрита во Фракии, ВОЗ, Женева, 1993.